პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 ივლისი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 131 (9542) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ინფორმაცია

**ზაგრები.** სტუდენტთა XIV მ..ი ...ი თამაშების პირველი ლაურეატები უნგრელი მოფარიკავეები გახდნენ. რაპირისტთა ტურნირში მათ ყველა საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. ჩემპიონი გახდა ყოლტ ერშეკი. ვერცხლის მედალი იშტვან სეპეიმ მოიპოვა, ბრინჯაოსი — პალ სეკერეშმა.

დაიწყო ფეხბურთელთა წინასწარი ტურნირი, რომლის მონაწილენი ოთხ ჯგუფად არიან დაყოფილნი, საბჭოთა სპორტსმენებმა პირველი მატჩი სამხრეთ კორეის გუნდთან წააგეს — 2:3. ამ ჯგუფში გამოდიან, აგრეთვე, ბრაზილიისა და და იუგოსლავიის ფეხბურთელები.

უნივერსიადის პროგრამაში სულ 12 სახეობაა შეტანილი, შეჯიბრებები 19 ივლისს დამთავრდება.


ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი წყალბურთში ● II ტური

## ჩემპიონატი განახლდა

**წყალბურთის** გულშემატკივრებმა იციან, რომ სპორტის ამ სახეობაში წლევანდელი რესპუბლიკური ჩემპიონატი ახლებურად ტარდება. წინათ შეჯიბრება ერთ ქალაქში იმართებოდა და რამდენიმე დღეში მთავრდებოდა, ახლა კი იგი სამ ტურად, სამ სხვადასხვა ქალაქში ეწყობა.

ჩემპიონატის მონაწილენი ქვეჯგუფებში გაერთიანდნენ. პირველი ტური აპრილში ქუთაისში მოეწყო. იქ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა 6 ქულა მოაგროვა და ერთპიროვნული ლიდერობა იგდო ხელთ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ განათლების სამინისტროს გუნდი (5 ქულა), სოხუმის „დინამო“, თბილისის უნივერსიტეტი, რუსთავის „ფოლადი“, ბათუმის „დინამო“ (3-3) და ქუთაისის პირველი (1) და მეორე გუნდი (0).

შეჯიბრების მონაწილეებმა თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში გააგრძელეს შეხვედრები. მეორე ტურში პირველი ქვეჯგუფის წარმომადგენლები მეორისას ხვდებიან I-IV და V-VIII ადგილისთვის მებრძოლი იმ გუნდების ვინაობის გასარკვევად, რომლებიც, თავის მხრივ, გადამწყვეტ შეხვედრებს სექტემბერში გამართავენ.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკურ ჩემპიონატში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები სპორტსკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშებისთვის უკეთ მომზადების მიზნით დაუშვეს, მაგრამ რადგან ეს თამაშები უკვე დამთავრდა, მოსწავლეთა ნაკრები რესპუბლიკურ ჩემპიონატში შეცვალა 1970 წელს დაბადებული სპორტსმენებით დაკომპლექტებულმა გუნდმა, რომელიც ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებისთვის ემზადება. ამ გუნდს მოსწავლეთა ნაკრების მიერ მოპოვებული ქულები დაერიცხა.

ამას გარდა, ქუთაისელთა მეორე გუნდის ნაცვლად შეჯიბრებაზე თბილისის უნივერსიტეტის მეორე ნაკრები გამოდის, ქუთაისელთა პირველი გუნდი კი „ქიმიკოსის“ სახელით ასპარეზობს. რაც შეეხება სოხუმელ წყალბურთელებს, ისინი რატომღაც საასპარეზოდ არ ჩამოვიდნენ.

საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურში პირველი შეხვედრები ასე დამთავრდა „დინამო“ (ბათუმი) — ჭაბუკთა ნაკრები 2:13, „უნივერსიტეტი“ — „ფოლადი“ 11:2, „ქიმიკოსი“ — სპი 5:9.

გუშინ ჭაბუკთა ნაკრებმა ანგარიშით 14:10 დაამარცხა სპი-ს გუნდი. უნივერსიტეტის I და II გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვა პირველმა 15:1, ხოლო „ქიმიკოსმა“ დინამოელებთან შეხვედრაში იზეიმა წარმატება — 10:4.

## საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში

**ჩვენს** ფეხბურთში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა იმითაცაა გამოწვეული, რომ დიდხანს სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა და თვითდინებაზე იყო მიშვებული ბავშვთა ფეხბურთი. ახლა რადიკალური ზომების გატარების დრო დადგა. გუშინ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სამდივნოს სხდომა, განიხილეს საკითხი „ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობისა და დიდი ფეხბურთის რეზერვების მომზადების შესახებ“.

ღრმად და კრიტიკულად გაანალიზდა ბავშვთა საფეხბურთო სკოლების, ცალკეული ჯგუფების მუშაობა, მოიტანეს უპასუხისმგებლობისა და უკონტროლობის კონკრეტული ფაქტები. შემდეგ სიტყვა მისცეს ფეხბურთის სპეციალისტებს, რომლებმაც ვრცლად ილაპარაკეს საერთოდ ფეხბურთისა და, კერძოდ, ბავშვთა ფეხბურთის ჩავარდნის მიზეზებზე, თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს აგრეთვე ფიზკულტურისა და სპორტის, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. მიღებულია დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს მუშაობის მკვეთრ გარდაქმნასა და კომკავშირული ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობას მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცების საქმეში.

## ტელეტაიპი - მკითხველი

**ლისაბონი.** მრავალდღიანი ველორბოლა პორტუგალიის გზებზე ადგილობრივმა სპორტსმენმა ამერიკო სილვუმ მოიგო — 22:17,29. მეორე ადგილზეც მისი თანაგუნდელი ჟოაო სანტუში გავიდა — 22:17,43. მინსკელ ევგენი ანტონევიჩს მხოლოდ მესამე შედეგი აღმოაჩნდა — 22:17.48.

**ბელგრადი.** აქ დამთავრდა ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში. ყველაზე ბევრი უმაღლესი ჯილდო საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს — 6 ოქროს, 5 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი. მეორე ადგილზე გდრ-ის წარმომადგენლები არიან: 11 ჯილდო, მათ შორის 4 ოქროს მედალი. მესამე ადგილი წილად ხვდათ უნგრელებს — 10 მედალი (5 ოქროსი).

**არლი (საფრანგეთი).** მძლეოსან მრავალჭიდელ ქალთა ევროპის თასი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს. გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ სვეტლანა ბურაგა, მარიანა მასალენკოვა, სვეტლანა ფილატეევა და ელენა დავიდოვა, მაგრამ ჩასათვლელი ქულები კოლექტივს მხოლოდ პირველმა სამმა მძლეოსანმა მისცა. მეორე ადგილზე გასულ საფრანგეთის ნაკრებს საბჭოთა სპორტსმენებმა 812 ქულით აჯობეს.

**სოფია.** ფრენბურთელ ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა. გამარჯვებულებმა ერთნაირი ანგარიშით (3:0) დაამარცხეს რუმინეთის, პოლონეთის, ეგვიპტის, იუგოსლავიის კოლექტივები, ტურნირის მასპინძლებს კი ხუთ პარტიაში (3:2) აჯობეს.

## სამ-სამი მედალი

ასეთი „ნადავლით“ ბრუნდებიან შინ საბჭოთა სპორტსმენები ჰავანიდან, სადაც იუნიორ მოკრივეთა მსოფლიოს პირველობა გაიმართა. დიახ, მათ სამივე სინჯის ჯილდო დაისაკუთრეს. ჩემპიონები გახდნენ: სამარყანდელი ჰამლეტ ილიასოვი (ქვემსუბუქი წონა), მაგადანელი ალექსანდრ ლებზიაკი (პირველი საშუალო წონა) და დონეცკელი დიმიტრი ელისეევი (ქვემძიმე წონა).

სხვა წონით კატეგორიებში საპრიზო ადგილებზე ჩვენი ქვეყნის კიდევ ექვსი წარმომადგენელი გავიდა. ვერცხლის მედლები წილად ხვდათ ყარაგანდელ ტ. ტუსუფოვს (48 კგ), სეროველ კ. ცზიუს (60 კგ) და ბალაკოველ ვ. სეჩოვს (91 კგ). ბრინჯაოს მედლები კი მოიპოვეს გორკელმა ა. ბუსკუნოვმა (63,5), დნეპროპეტროვსკელმა ო. ვიაზოვსკიმ (75) და ერევნელმა ტ. ტერტერიანმა (+91).

## მედეა მხეიძის 40 ქულა



20 წლამდე ასაკის კალათბურთელ გოგონათა საერთაშორისო ტურნირი ბულგარეთში ტრადიციულად ტარდება. რიგით მეთორმეტე შეჯიბრებას წლეულს ქალაქ რუსემ უმასპინძლა. ასპარეზობაში მონაწილე გუნდები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. პირველში გამოდიოდნენ: ბულგარეთი II, იტალია, იუგოსლავია და ჩეხოსლოვაკია, მეორეში — საბჭოთა კავშირი, ბულგარეთი I, უნგრეთი, რუმინეთი და კუბა.

სანამ ტურნირის შედეგებს გაგაცნობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ რვაჯერ ასპარეზობა საბჭოთა კავშირის ნაკრებს ჰქონდა მოგებული, ორჯერ უნგრეთისა და ერთხელ ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებს. ამჯერად, გადამწყვეტ მატჩებში მონაწილეობის უფლება ფავორიტთაგან მხოლოდ საბჭოთა კავშირის გუნდმა მოიპოვა, ოლონდ მას შემდეგ, რაც ჯგუფური ტურნირის ოთხ მატჩში ყველა მეტოქე დაამარცხა. აქ მეორე ადგილზე კუბელი კალათბურთელები გავიდნენ.

პირველ ჯგუფში სხვებზე უკეთ ბულგარეთის მეორე გუნდმა და იუგოსლავიის ნაკრებმა ისპარეზეს. მერე გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები, რომლებშიც საბჭოთა კავშირმა იუგოსლავია დაამარცხა, ბულგარეთის მეორე ნაკრებმა კი კუბა.

ფინალურმა მატჩმა სსრ კავშირისა და ბულგარეთის კალათბურთელთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. მაგრამ დაძაბული ბრძოლა ამჯერად არ შედგა, იმდენად დიდი იყო საბჭოთა კალათბურთელების უპირატესობა. ჩვენი ნაკრები ამ საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი მეცხრედ გახდა — 84:44. აღსანიშნავია, რომ ფინალურ მატჩში თავის კოლექტივს ყველაზე მეტი ქულა მისმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა, თბილისელმა მედეა მხეიძემ შესძინა — 40.

საბჭოთა ნაკრების ღირსებას ამ ტურნირში (უფროსი მწვრთნელი რაფაელ ჩოლოხიანი) მხეიძის გარდა ნოვოსიბირსკის, რიგის, კაუნასის, მოსკოვის, ლენინგრადისა და როსტოვის კალათბურთელები იცავდნენ. საბრძოლო ხუთეული კი, რომელზედაც ტურნირის მთელი სიმძიმე გადავიდა, ასე გამოიყურებოდა — მედეა მხეიძე, ირინა კუში (ლენინგრადი), ტანია პიმანოვა, ნატაშა ხოდიკოვა (ორივე — ნოვოსიბირსკი) და ინგა იონკუტე (კაუნასი). ტურნირის საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული პრიზი ირინა კუშმა დაისაკუთრა.

წლეულს იუნიორებს ერთი პასუხსაგები ტურნირი აქვთ ჩასატარებელი, „მეგობრობა-87“, რომელიც 10 აგვისტოს დაიწყება. შეჯიბრებისადმი სამზადისს ჩვენი გუნდი ორიოდ დღეში შეუდგება. ნაკრების მთავარ საზრუნავს კი მსოფლიო ჩემპიონატი წარმოადგენს, რომელიც 1989 წელს ჩინეთის რომელიმე ქალაქში ჩატარდება.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „ხულიგანი მწვრთნელი“

ჩვენს გაზეთში 2 ივლისს გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი „ხულიგანი მწვრთნელი“, სადაც ლაპარაკი იყო ქუთაისის „იმერეთის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელის გ. აბზიანიძის ულირს საქციელზე.

ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. კუპაიძე გვატყობინებს, რომ „იმერეთის“ მწვრთნელი გ. აბზიანიძე გაათავისუფლეს თანამდებობიდან, პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს განყოფილების გამგე ჯ. კვაციანი გააფრთხილეს, ხოლო ამავე საბჭოს ინსტრუქტორს რ. მაღლაფერიძეს, რომელიც ფეხბურთელთა კოლექტივზე იყო მიმაგრებული გამოუცხადეს საყვედური.




6 ივლისი. თბილისის „დინამოს“ სტადიონი. ასე დაიწყო „მესამე ტაიმი“.

ის. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენიშვნები საქართველოს მოცურავეთა ჩემპიონატზე

კარგად ორგანიზებული შეჯიბრება, მონაწილეებმა რეკორდებიც რომ არ დაამყარონ, სპორტული ზეიმია. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ხობში გამართულმა საქართველოს მოცურავეთა ჩემპიონატმა, რომელიც ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების პროგრამით ჩატარდა. შეჯიბრების ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანეს ხობელებმა.

დიახ, ამ ასპარეზობაზე რეკორდები არავის დაუმყარებია, მაგრამ შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში ამ სახეობის განვითარების საქმეში დადებითი ძვრები იგრძნობა. გამოჩნდნენ „პირველი მერცხლები", რომლებიც, მართალია, გაზაფხულს ვერ მოიყვანენ, მაგრამ მის მოახლოებას კი გვაგრძნობინებენ.

შეჯიბრების მონაწილეებმა, თბილისელმა ქეთინო ზინდრიშვილმა და რუსთაველმა ვიქტორია უტიცკიხმა სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულეს. ქეთინომ 400 მეტრზე თავისუფალი



ტილით ცურვაში, ვიქტორიამ — ამავე დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში.

50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყურადღება მიიქცია რუსთაველმა ომარ მოისწრაფიშვილმა.

პროგრამის დანარჩენ სახეობებში გაუთვალისწინებელი არაფერი მომხდარა. ამ სახეობებში გამარჯვებულთა დასახელება წინასწარაც შეიძლებოდა.

საქართველოს რეკორდსმენმა, ჩვენი ქვეყნისა და გდრ-ის ახალგაზრდა მოცურავეთა სამატჩო შეჯიბრების მონაწილე თბილისელმა სპორტის ოსტატმა იგორ არტიომოვმა სპორტის ხუთ სახეობაში ისე გაიმარჯვა, კონკურენცია არ უგრძვნია.

ხუთი დღის შეჯიბრების შემდეგ გუნდურ ასპარეზობაში, საქართველოს ჩემპიონატის პროგრამით, ადგილები ასე განაწილდა: თბილისი (2731 ქულა), აფხაზეთი (715), ქუთაისი (618). ამ გუნდებმა ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გამართულ შეჯიბრებაშიც ასეთი თანმიმდევრობით დაიკავეს ადგილები, ოღონდ აქ შესაბამისად 2120, 652 და 572 ქულა მოაგროვეს.

ასპარეზობას ახალი სახელები რომ არ დაუსახელებია, ეს ამ სახეობის განვითარებაში დაშვებული შეცდომებით აიხსნება. და მაინც, ჩემპიონატმა გაამართლა. ამას ხელი შეუწყო შეჯიბრების დღეებში ხობში გამართულმა რესპუბლიკურმა სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომელიც ცურვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების მუშაობის საკითხს მიეძღვნა. კონფერენციის მუშაობაში ჩვენი ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები მონაწილეობდნენ, მათ შორის ისეთი აღიარებული სპეციალისტები, როგორებიც არიან საკავშირო სპორტსახკომის მწვრთნელები ცურვაში ვილი ტოლსტიკოვი, ვიტალი მედიანიკოვი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ექსრეკორდსმენი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი სერგეი ფესენკო და სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი იური პეტრენკო.

ჩემპიონატის მონაწილეებისთვის სასარგებლო და საინტერესო იყო შეხვედრა ფესენკოსთან. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა მათ მრავალ კითხვაზე გასცა პასუხი.

**ვალერი ხაი,**
**საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი ცურვაში.**



**ლისის ტბის მიდამოებში ჩატარდა ნორჩ გემთმოდელისტთა 22-ე რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელშიც 10 გუნდის 56 წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

**მოდელების ცალკეული კლასების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. გოგიავა, ტ. სებუა (ორივე წულუკიძე), რ. ფომენკო (ბათუმი), ლ. მამაცაშვილი (რუსთავი), ზ. წიწუაშვილი, ს. ასატუროვი (ორივე თბილისის პიონერთა სასახლე), დ. არუთინოვი (თბილისი).**

**გუნდურ პირველობაში უძლიერესი იყო რუსთავის გუნდი — 1188 ქულა, მეორე ადგილზე არიან თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის აღსაზრდელები (1004,9), მესამე ადგილი წილად ხვდათ წულუკიძელ მოდელისტებს (804,6).**

ს. ვართანესოვის ფოტოები.

## მოკლედ

### წალენჯიხა

რაიონში ბოლო დროს ბევრი რამ კეთდება სპორტული ბაზების მოსაწყობად და შეჯიბრებათა გასამართავად. პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში, მაიაკოვსკის ქუჩაზე მოეწყო მარტივი ტიპის სპორტული კომპლექსები, მთავარ სტადიონზე შენდება საცურაო აუზი.

ენგურჰესის მშენებლობის სპორტკლუბ „ენგურის" ხელმძღვანელობამ გამართა თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჰიდროსპეცმშენისა და კამხალმშენის გუნდები. გაიმარჯვეს კამხალმშენებლებმა.

დიდი ინტერესი გამოიწვია დათო და ვახტანგ კვარაცხელიების ხსოვნისადმი მიძღვნილმა საფეხბურთო შეჯიბრებამ ნორჩთა შორის. წარმატება წილად ხვდათ სოფ. ნანჯარის საშუალო სკოლის წარმომადგენლებს.

**ოლეგ ხალია.**

### ლანჩხუთი

უკვე მეორე წელია საინტერესოდ ტარდება საბავშვო ბაღების პირველობა მინიფეხბურთში. წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო რაიონის 12-მა საბავშვო ბაღის გუნდმა.

პირველი ადგილისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ შუხუთისა და ლესის ნორჩები. გაიმარჯვეს შუხუთელმა ბავშვებმა. საპრიზო ადგილზე გავიდნენ ეწერელები.

**ვ. ცინცაძე,**
**ლანჩხუთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.**

## კრივი



**ვინა** ვინმეს აეჭვებს, რომ ყველაზე კარგ პროპაგანდას ამა თუ იმ სახეობას სპორტსმენის მაღალი მიღწევები უწევს? ამიტომაც ნურავის გაუკვირდება, თუ სულ მალე ჩვენი ტირები სროლის შესწავლა-დაუფლების ყველა მსურველს ვერ დაიტევენ. დიახ, ნინო სალუქვაძის ამ დღეების ტრიუმფულ წარმატებას შეიძლება ნამდვილი ბუმი მოჰყვეს და ახლა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, არსებული მატერიალური ბაზა რამდენად დააკმაყოფილებს მსროლელის სახელზე მეოცნებე გოგო-ბიჭებს.

საკავშირო და მსოფლიო სარბიელზე თანამემამულეთა გამარჯვებას მოზარდებს შორის სხვა დროსაც გამოუწვევია დიდი დაინტერესება, მაგრამ მოუმზადებელ დარბაზს, უგულისყურო მწვრთნელს, ყავლგასულ აღჭურვილობას ცუდი სამსახური გაუწევია ნორჩებისათვის და ისინიც მალე განთესილან სპორტიდან.

ალბათ, იგივე ბედი ეწეოდა ჩვენს მოზარდთა კრივს, რომელიც დღეს რესპუბლიკაში აღმავლობის გზას ადგას, რომ დავით კვაჭაძეს ნამდვილი აღმზრდელის და პროფესიონალის ალღო არ გამოეჩინა. ყველას კარგად გვახსოვს ჩვენს კრივში გამეფებული მწვრთნელთა სრული ინერტულობა. მართალია, თავის დროზე ამ სახეობაში მდიდარი ტრადიციები გვქონდა, რასაც არაერთი სახელოვანი გამარჯვება მოუტანია რესპუბლიკის სპორტისათვის, მაგრამ ორმოცდაათიანი, სამოციანი და სამოცდაათიანი წლები გამორჩეული და თავმოსაწონი არაფრით ყოფილა. მხოლოდ დავით კვაჭაძის წარმატებებმა საკავშირო და ევროპულ რინგზე გამოაცოცხლა ჩვენში სპორტის ეს ვაჟკაცური სახეობა. დავითმა აღმზრდელობითი მუშაობა თავის მშობლიურ კლუბში — „ბურევესტნიკში" დაიწყო. იქ გახსნა კრივის სპეციალიზებული დარბაზი, რომელსაც ახლა ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სკოლა ჰქვია. ამ სკოლას საამაყო ბევრი აქვს — მისი აღზრდილები და აღსაზრდელები წარმატებით გამოდიან საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე, სკოლამ ფილიალები გახსნა ქუთაისში, სოხუმში, ტყიბულში, თერჯოლაში, სადაც სხვადასხვა ასაკის 450 მოზარდი მეცადინეობს. იქ ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან გამოცდილი აღმზრდელები, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ვ. ბურჯანაძე, გ. კუხიანიძე (ქუთაისი), თ. ქართველიშვილი, გ. შახსუვარიანი, ს. წინამძღვრიშვილი, ნ. ქიქავა და სხვები.

მაგრამ დავით კვაჭაძე ამით არ დაკმაყოფილებულა. მისი უშუალო თაოსნობით დიღომში გაიხსნა განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტული სკოლა, რომელსაც ასევე მთელს რესპუბლიკაში აქვს ფილიალები. ნაყოფიერად მუშაობენ სკოლის მწვრთნელები გურჯაანში, მესტიაში, საჩხერეში, სიღნაღში, თეთრ წყაროში, ფოთში, რუსთავში. სამინისტროს სისტემის სპორტსკოლის მოკრივეებს კონკურენციას უწევს „შრომითი რეზერვების" სკოლა, სადაც ნორჩ მოკრივეთა მზადებას სათავეში უდგას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ხაჩატუროვი. ამ სკოლებმა უკვე მოგვცეს მაღალი კლასის სპორტსმენები, რომლებმაც საერთაშორისო სარბიელზეც ისახელეს თავი. მათ შორის არიან: ნიკა სეთური, ჯამბულ ყუფარაძე, დავით შერვაშიძე, გოჩა სამხარაძე, ძმები კაზანჯიანები, ხვიჩა ხდრიანი, სპარტაკ ასანიძე...

ახლა რესპუბლიკის ჭაბუკ მოკრივეებს სერიოზული გამოცდა ელით. ივლისის ბოლოს ისინი ქუთაისში სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველ საკავშირო თამაშებში ჩაებმებიან. ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობისათვის მზადება შარშან დაიწყო. გორში გამართული რესპუბლიკური პირველობის შედეგების მიხედვით შეიქმნა სპორტსმენთა ბირთვი, რომელსაც საკავშირო თამაშებში მოუხდება გამოსვლა. ამ 45-კაციან ჯგუფში შევიდნენ პირველი, მეორე და მესამე ნომერი სპორტსმენები. მათი მზადება საკავშირო შეჯიბრებისათვის წულუკიძის რაიონის დაბა გორდში 18-დღიანი შეკრებით დაიწყო.

— მზადების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 25 თებერვლიდან 1 მარტამდე ქუთაისში ჩატარებული წლევანდელი რესპუბლიკური პირველობა. ამ შეჯიბრებამ გუნდის შემადგენლობაში გარკვეული კორექტივები შეიტანა, — თქვა ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორმა რევაზ მეგრელიშვილმა. — ამ გუნდით გავემგზავრეთ მოსკოვში „სიჭაბუკის" ტრადიციულ ტურნირზე. სარბიელზე ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოსწავლე-მოკრივეები გამოდიოდნენ. ამდენად, თავიდანვე ვიცოდით, რომ საქმე გვექნებოდა მომავალ მეტოქეებთან — სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველი საკავშირო თამაშების მონაწილეებთან და შეჯიბრებას დაზვერვის ხასიათიც ჰქონდა. უნდა ითქვას, რომ საქართველოს მოკრივეებს თავი არ შეურცხვენიათ მოსკოვის რინგზე. მათ ბრწყინვალედ ჩაატარეს ორთაბრძოლები და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს, ხუთმა კი გამარჯვებულის სახელიც დაისაკუთრა.

გუნდის ამავე შემადგენლობამ თავისი ძალა გამოსცადა რესპუბლიკის მეორე ახალგაზრდულ თამაშებსა და ამ „შრომითი რეზერვების" საკავშირო ასპარეზობაში. ამ უკანასკნელ შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა. ამას მოჰყვა ოცდღიანი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება ტყიბულსა და სოხუმში. ამ დღეებში ქუთაისში გავემგზავრებით და მოკლევადიანი შეკრების შემდეგ, რაც აკლიმატიზაციას ისახავს მიზნად, იქვე ჩავებმებით სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველ საკავშირო თამაშებში.

— რა მიზანს ისახავს გუნდი? — რაც შეიძლება მაღალ დონეზე წარვმართოთ შეხვედრები და მაღალი ადგილებიც მოვიპოვოთ გუნდურ და პირად შეჯიბრებებში. ჩვენ ეს შეგვიძლია. ნაკრების თითოეული წევრი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება მომავალ შეხვედრებს. იმედია, რინგზეც თავდაუზოგავად იბრძოლებენ. ის, რომ სადღეისოდ საქართველოს მოსწავლე-მოკრივეებს რაიმე არსებითი პრობლემა არა აქვთ გადასაჭრელი, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, სპორტსახკომისა და თბილისის განათლების სამმართველოს დიდი დახმარების შედეგია. არც ერთი საკითხი, მზადების ხელშემშლელი არც ერთი მიზეზი მათ უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ და დროულად იღებდნენ ქმედით ზომებს, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

როგორც ითქვა, ჯერჯერობით კმაყოფილი ვართ გუნდის მომზადებით, რომელსაც ხელმძღვანელობენ უფროსი მწვრთნელი დავით შიუკაშვილი, გუნდის უფროსი ალბერტ ელისონიანი, მწვრთნელები თეიმურაზ ლორთქიფანიძე (ჭიათურა), როლანდ კვაჭაძე, ვალერი ბორტნიკოვი (თბილისი), ტარიელ ჯერულაშვილი, ცეზარ გულუა (ფოთი), გიორგი კუხიანიძე (ქუთაისი) და თეიმურაზ სამუშია (სოხუმი). ნაკრების იმ თხუთმეტ წევრსაც, შეჯიბრებაში რომ გამოვლენ, მათი შეხედულებით დავადგენთ.

ისე ნურავინ გაგვიგებს, თითქოს ჩვენს მოზარდთა კრივში სადღეისოდ მოსაგვარებელი არაფერი იყოს. არა, მას სატკივარიც ბევრი აქვს.

თუ შორს გავიხედავთ, საჭიროა, რომ რესპუბლიკის რაიონებში „გაბნეულ" ნიჭიერ და საიმედო ახალგაზრდობას თავი მოვუყაროთ თბილისის სპორტული პროფილის ინტერნატში, სადაც კრივის სპეციალური სექცია გაიხსნება. იქ მოზარდ სპორტსმენებს დაოსტატების საშუალება ექნებათ, ისევე როგორც, ვთქვათ, მოჭიდავეებს, მძლეოსნებს, ფეხბურთელებსა და სხვა სახეობების წარმომადგენლებს.

გადასაჭრელია ერთი პრობლემა: თბილისის განათლების სამმართველოს კრივის სპეციალიზებული დარბაზის მშენებლობა. ადგილი უკვე გამოყოფილია დიღომში... დროა მოსწავლე მოკრივეებს ჰქონდეთ თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი საწვრთნელი ბაზა, თავისი საშხაპით, საექიმო კაბინეტით, სარეაბილიტაციო ცენტრით, კვების ბლოკითა და სასტუმროთი.

ვფიქრობ, ამ საკითხის მოგვარება ბევრად გააუმჯობესებს წვრთნის პირობებს და შედეგიც არ დააყოვნებს — ჩვენს ტყავის ხელთათმანის ახალგაზრდა ოსტატებს ხდრიანს, კაზანჯიანს, ყუფარაძეს, სეთურს, ასანიძესა და სხვებს ღირსეული ცვლა ეყოლებათ.

**უშანგ ჭიჭინაძე.**

# სსრ კავშირის თასზე

**6 ივლისს** გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის 1987-88 წლების გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩების პირველი შეხვედრები. შეჯიბრებაში ჩაებნენ უმაღლესი ლიგის კოლექტივებიც.

საქართველოს გუნდებიდან თასის ამ ეტაპზე იბრძვიან თბილისის „დინამო", ლანჩხუთის „გურია" და სოხუმის „დინამო". განვლილ ტურში უმაღლესი ლიგის ყველა გუნდმა შინ მიიღო მეტოქეები.

თბილისის „დინამოს" არ გასჭირვებია თავისი მეტოქის — იაროსლავლის „შინიკის" დამარცხება. უკვე მატჩის დასაწყისშივე, მე-3 წუთზე, „შინიკის" მცველებმა უყურადღებოდ ითამაშეს თავიანთი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, ამით კარგად ისარგებლა კაკილაშვილმა, იოლად გავიდა წინ და ზუსტადაც დაარტყა კარში — 1:0. გავიდა ხუთიოდე წუთი და სტუმრებს კვლავ ცენტრიდან მოუხდათ თამაშის დაწყება: კორღალიძე-კაკილაშვილის სწრაფი კომბინაციის შემდეგ ბურთი მიიღო შენგელიამ, შორიდან დაარტყა კარში, ვოლნუხინი მზად არ აღმოჩნდა და მეორე ბურთი გაუშვა.

კიდევ რამდენიმე წუთიც და ანგარიში გახდა 1:2. ამჯერად კოლესნიკოვმა გამოიყენა თავისი შანსი, მან საკმაოდ შორი მანძილიდან გაქვითა ერთი გოლი.

შესვენების შემდეგ თამაში საგრძნობლად გამოცოცხლდა, დინამოელებმა მკვეთრად მოუმატეს ტემპს და მთელი ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ წარმართეს. ჯერ კორღალიძემ თავით გაიტანა მესამე ბურთი, შემდეგ კი მანვე მე-60 წუთზე საბოლოო წერტილი დაუსვა მატჩის ანგარიშს — 4:1. თბილისის „დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **გაბელია, კეტაშვილი, ცვეიბა (ქეცბაია), ჰედია, ფირცხალავა, კორღალიძე (ფანცულაია), სვანაძე, სულაქველიძე, კაკილაშვილი (გოგრიჭიანი), გურული, შენგელია.**

ასევე გააფრთხილეს „შინიკის" ფეხბურთელი მარტიანოვი, აგრეთვე, თბილისელი კეტაშვილი.

ასეთივე იოლ გამარჯვებას მიაღწია თავის მინდორზე ლანჩხუთის „გურიამ", რომლის მეტოქე ვოლგოგრადის „როტორი" იყო. შარშან, როცა „გურია" I ლიგაში გამოდიოდა, ამ ორი გუნდის შეხვედრები თანაბარი უპირატესობით წარიმართა, ერთი მატჩი „გურიამ" მოიგო — 1:0, ერთიც „როტორმა" — 4:2. ამჯერად, ლანჩხუთელებმა საგრძნობი უპირატესობით ითამაშეს ძველ მეტოქესთან და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს — 4:2. ორი ბურთი გაიტანა კოპალეიშვილმა, თითო — ფრიდონაშვილმა (11-მეტრიანი) და ხლუსმა.

მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს თასის მეთექვსმეტედფინალურ მატჩში სოხუმის „დინამომ", რომელიც მინსკში შეხვდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს ადგილობრივ „დინამოს". თვით ანგარიშიც 2:1 მინსკელთა სასარგებლოდ, ნათლად მეტყველებს ბრძოლის დაძაბულობაზე, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ გადამწყვეტი ბურთი მასპინძლებმა მხოლოდ მაშინ გაიტანეს, როცა მატჩის დამთავრებას რამდენიმე წამი აკლდა.

მოგვყავს თასის ამ ეტაპის სხვა შეხვედრათა ანგარიშები:

„შახტიორი" (დონეცკი) — „ნივა" (ტერნოპოლი) 2:0.

„ტორპედო" (მოსკოვი) — „ატლანტასი" (კლაიპედა) 1:1.

„ზენიტი" (ლენინგრადი)—„დრუჟბა" (მაიკოპი) 3:1.

„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)—„ურალანი" (ელისტა) 10:0.

„ქაირათი" (ალმა-ათა) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 1:0.

„არარატი" (ერევანი) — „ატომმაში" (ვოლგოდონსკი) 6:2.

„დინამო" (კიევი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 2:1.

„მეტალისტი" (ხარკოვი) — „კრასნაია პრესნია" (მოსკოვი) 3:1.

„დინამო" (მოსკოვი) — „კუზბასი" (კემეროვო) 1:0.

„ნეფთჩი" (ბაქო) — „ფახთაქორი" (ანდიჟანი) 4:0.

მეთექვსმეტედფინალის საპასუხო შეხვედრები 18 ივლისს შედგება.



თბილისის „დინამოს" და იაროსლავლის „შინიკის" გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

9 ივლისს გაიმართება ევროპის საკლუბო ტურნირების (ჩემპიონთა თასი, თასების მფლობელთა თასი, უეფა-ს თასი) 1987-88 წლების გათამაშებათა წილისყრა. თბილისის „დინამო" ხუთწლიანი ინტერვალის შემდეგ კვლავ ჩაებმება ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში. ეს, ბუნებრივია, დიდად ზრდის საქართველოს ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესს ამ ტურნირებისადმი და, რა თქმა უნდა, თვით დინამოელთა პასუხისმგებლობას მიმდინარე სეზონში.

ეს ორი ცხრილი, რომლებსაც დღეს ვბეჭდავთ, თბილისელმა გულშემატკივარმა **ალეკო ჯიბლაძემ** შემოგვთავაზა. პირველ ცხრილში ნაჩვენებია რომელი ქვეყნის წარმომადგენლები რამდენჯერ ფლობდნენ ამა თუ იმ თასს.

სულ, სამივე თასს, სხვადასხვა დროს 15 ქვეყნის 46 გუნდი დაეპატრონა. მეორე ცხრილში გაგაცნობთ იმ 10 კლუბს, რომლებმაც სამჯერ ან მეტჯერ გაიმარჯვეს ევროპის თასებისთვის ბრძოლაში.

**ცხრილი № 1**

| | ჩ. თ. | თ. თ. | უეფა | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 8 | 5 | 9 | 22 |
| 2. ესპანეთი | 6 | 4 | 8 | 18 |
| 3. იტალია | 5 | 4 | 2 | 11 |
| 4. გფრ | 4 | 3 | 3 | 10 |
| 5. ჰოლანდია | 4 | 1 | 2 | 7 |
| 6. პორტუგალია | 3 | 1 | — | 4 |
| 7. შოტლანდია | 1 | 2 | — | 3 |
| 8. სსრკ | — | 3 | — | 3 |
| 9. ბელგია | — | 2 | 1 | 3 |
| 10. შვეცია | — | — | 2 | 2 |
| 11. რუმინეთი | 1 | — | — | 1 |
| 12. ჩეხოსლოვაკია | — | 1 | — | 1 |
| 13. გფრ | — | 1 | 2 | 1 |
| 14. უნგრეთი | — | — | 1 | 1 |
| 15. იუგოსლავია | — | — | 1 | 1 |

**ცხრილი № 2**

| | ჩ. თ. | თ. თ. | უეფა | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. „რეალი" (მად.) | 6 | — | 2 | 8 |
| 2. „ლივერპული" | 4 | — | 2 | 6 |
| 3. „ბარსელონა" | 3 | 1 | — | 4 |
| 4. „ბაიერნი" (მიუნ.) | 3 | 1 | — | 4 |
| 5. „აიაქსი" (ამსტ.) | 3 | 1 | — | 4 |
| 6. „მილანი" | 2 | 2 | — | 4 |
| 7. „იუვენტუსი" (ტურინი) | 1 | 1 | 1 | 3 |
| 8. „ანდერლეხტი" (ბრიუსელი) | — | 2 | 1 | 3 |
| 9. „ტოტენჰემ ჰოტსპური" (ლონდონი) | — | 1 | 2 | 3 |
| 10. „ვალენსია" | — | 1 | 2 | 3 |

# სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი

მკითხველმა უკვე იცის, რომ სამხრეთ ამერიკის წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატი ახლებური სისტემით მიმდინარეობს, კერძოდ, თამაშები ტარდება ერთ ქვეყანაში — არგენტინაში. ამ შეჯიბრებას ექსცესები და მოულოდნელობანი არასოდეს აკლდა, გამონაკლისი არც წლევანდელი შეჯიბრებაა.

მარცხი განიცადა ბრაზილიის ნაკრებმა, რომელიც ტრადიციისამებრ ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად ითვლებოდა. ბრაზილიელებმა დიდი ანგარიშით წააგეს ჩილის ნაკრებთან — 0:4. ამ ამბავმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა ქვეყანაში, ბრაზილიელი გულშემატკივრები მოითხოვენ დაუყოვნებლივ განდევნონ ნაკრებიდან უფროსი მწვრთნელი კარლოს ალბერტო სილვა, მან კი სულ ახლახან ჩაიბარა ეს სახელგანთქმული გუნდი.

„ა" ჯგუფში პერუსა და ეკვადორის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1, „ც" ჯგუფში კოლუმბიელებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხეს პარაგვაის ნაკრები.

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში გამოვლინდნენ ნახევარფინალის მონაწილენი: არგენტინა-ურუგვაი, ჩილი-კოლუმბია.

# სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომაზე განიხილეს უმაღლესი ლიგის გუნდებში მომხდარ დარღვევათა საკითხები, შესაბამისი სასჯელები გამოიტანეს დამნაშავე ფეხბურთელთა მიმართ.

ფეხბურთის მოყვარულებმა, ალბათ, ნახეს თუ როგორ უხეშად დაარღვია თამაშის წესი ბაქოს „ნეფთჩის" მეკარემ ა. ჟიდკოვმა, რომელმაც ძალზე სახიფათო ილეთი იხმარა დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" თავდამსხმელ ო. პროტასოვის მიმართ. ა. ჟიდკოვი 2 მატჩითაა დისკვალიფიცირებული, გარდა ამისა, იგი მკაცრად გააფრთხილეს. სპორტტექნიკურმა კომისიამ ბაქოს „ნეფთჩის" ხელმძღვანელობის ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ გუნდში ძალზე დაბალ დონეზე დგას დისციპლინა, კერძოდ, „ნეფთჩის" ძირითად და სათადარიგო შემადგენლობათა მოთამაშეებმა უკვე 18-ჯერ დაიმსახურეს ყვითელი ბარათი.

ასევე ორი მატჩითაა დისკვალიფიცირებული ლენინგრადის „ზენიტის" ფეხბურთელი ა. აფანასიევი, რომელმაც უხეშად ითამაშა ტორპედოელი ი. სავიჩევის წინააღმდეგ. სპორტტექნიკურმა კომისიამ ლენინგრადის „ზენიტის" ხელმძღვანელობას რეკომენდაცია მისცა გაათავისუფლოს ა. აფანასიევი გუნდის კაპიტნობიდან.

# მეორე ტური

მიმდინარეობს II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება პროფკავშირების თასზე. გთავაზობთ მეორე ტურის შედეგებს: „კოლხეთი" (ფოთი) — „დინამო" (სოხუმი) 8:1, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „მეშახტე" (ტყიბული) 2:3, „ქიაფაზი" (კიროვაბადი) — „შევარდენი"-სპი (თბილისი) 0:0, „დილა" (გორი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 3:2.

# „მესამე ტაიმი"

**ეს** ფრაზა იმ საღამოს პირველს მგონი ჩვენს სასიქადულო ფეხბურთელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ბორის პაიჭაძეს წამოსცდა. ტყავის ბურთის ლეგენდარული დიდოსტატი „დინამოს" სტადიონის პრესის ლოჟის ხშირი სტუმარია და ახლაც დიდი მღელვარებით ელოდა გულშემატკივართა და ჟურნალისტთა შეხვედრას თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდთან.



ქართული ფეხბურთი, კერძოდ მისი დიდი ხნის ლიდერი — თბილისის „დინამო" დღეს რომ კრიზისს განიცდის, ეს ყველასთვის ნათელია. ნათელია, მაგრამ აუხსნელი, გაუგებარი და მიუღებელი!

აკი ამიტომაც დაკარგა ქართველმა გულშემატკივარმა მოსვენება, ზოგიერთს „გახედვაც" არ უნდა სტადიონისაკენ, თუმცა ერთგული ქომაგები იმედს მაინც არ ჰკარგავენ და ცდილობენ სტადიონის საკმაოდ „შეთხელებული" ტრიბუნებიდან გაამხნევონ ფეხბურთელები.

დიახ, გულშემატკივრები შეშფოთებას ველარ მალავენ და გულისწყრომით სავსე წერილებს გვიგზავნიან. მარტო ბოლო ორი კვირის მანძილზე „ლელოში" 600-ზე მეტი წერილი მივიღეთ. რა წინადადებას აღარ გვთავაზობენ მათი ავტორები, რა აზრს არ გამოთქვამენ, ხშირად ერთმანეთთან საწინააღმდეგოს, მაგრამ ფაქტია, ისინი მთელი არსებით განიცდიან „დინამოს" გასაჭირს. მათ სურთ რაც შეიძლება მალე იხილონ საყვარელი გუნდი კრიზისს თავდაღწეული.

— ვერ წარმოიდგენთ რა დიდი ადგილი უჭირავს ფეხბურთს ჩვენს სინამდვილეში, როგორ გვიყვარს იგი, რარიგ განვიცდით საქართველოს გუნდების ყოველ გამარჯვებას და მარცხს. ერთი მათგანი ასეთ, თითქოს დაუჯერებელ ამბავსაც გვიამბობს:—„ჩემს ნაცნობ ცოლ-ქმარს ერთ დღეს ერთმანეთთან სერიოზული კონფლიქტი მოუხდათ, საქმე გაყრამდე მივიდა, მაგრამ... იმ საღამოს ჩვენმა დინამოელებმა „ქაირათი" დაამარცხეს და გახარებულმა ცოლ-ქმარმა ერთმანეთს გაუღიმეს. ასე გადაურჩა ერთი ოჯახი დანგრევას".

დიახ, დიდია ფეხბურთის სასწაულმოქმედი ძალა.

გვწერენ გალიდან და ბათუმიდან, ქუთაისიდან და ზუგდიდიდან, სოხუმიდან, ჭიათურიდან, ხაშურიდან. რუსთავიდან...:

და აი, რას გვწერენ ისინი:

„ასეთი ჩავარდნა თბილისის „დინამოს" ჯერ არ ჰქონია. საქართველოში ათი ათასი კაცი თამაშობს ფეხბურთს, ნუთუ ძნელია მათგან საუკეთესოთა შერჩევა?".

„გუნდში არ იგრძნობა არავითარი სათამაშო ორგანიზაცია, ტაქტიკური აზროვნება, სუსტია კარში დარტყმები, კომბინაციები უფერული".

„რას აკეთებენ ამდენი სპორტსკოლები, ინტერნატები, რა პროდუქციას იძლევიან?"

„ყველა ფეხბურთელმა თავისი საქმე უნდა აკეთოს პირნათლად, შავ სამუშაოს არ უნდა ერიდებოდეს, სხვის იმედზე არ უნდა იყოს. აი, მაშინ იქმნება კოლექტივი, აი, მაშინ გაიმარჯვებს გუნდი".

„საჭიროა გულახდილი დიალოგი გულშემატკივრებსა და გუნდის ხელმძღვანელობას შორის".

„როდემდე შეიძლება პერსპექტიულებად ჩაითვალონ 23-27 წლის ფეხბურთელები, რომლებმაც დღემდე ვერ ისწავლეს თამაში?"

„ჩვენი გუნდის გამოსვლა უეფა-ს თასზე ასეთი თამაშით ყოვლად გაუმართლებელია".

„თავის დროზე დიდ იმედებს ამყარებდნენ ცაავაზე, ფანცულაიაზე, მიქაშავიძეზე, რევიშვილზე"...

„რატომ არ ათამაშებთ შენგელიას ორივე ტაიმში"?

„ძალზე დაბალია რესპუბლიკის მწვრთნელთა კვალიფიკაცია, ეგებ კონსულტანტად მოგვეწვია თბილისის „დინამოში" ცნობილი სპეციალისტი მიხეილ იაკუშინი, რომელსაც ადრეც უმუშავია ჩვენს გუნდთან და ბევრი სასიკეთო საქმეც გაუკეთებია".



„წინათ რესპუბლიკის ჩემპიონატის მატჩზე დასასწრებად თბილისიდან რეგულარულად ჩამოდიოდნენ სპეციალისტები, რომლებიც ადგილზე არჩევდნენ ნიჭიერ ფეხბურთელებს. დღეს მათ რატომღაც ველარ ვხედავთ"...



მსგავსი შეკითხვები დაედო საფუძვლად გუშინწინდელ „მესამე ტაიმს", რომლის ორგანიზატორი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციასთან ერთად საქართველოს ტელევიზია და „დინამოს" სტადიონი იყო.



დინამოელთა უფროსი მწვრთნელი კახი ასათიანი ამომწურავად პასუხობდა მათ. ბოლოს მწვრთნელმა ისინი მიიპატიჟა დაესწრონ გუნდის ვარჯიშს, უფრო ახლო გაეცნონ საქმის ვითარებას. გულშემატკივრების წინაშე გულახდილად ილაპარაკეს ფეხბურთელებმაც — შენგელიამ, სულაქველიძემ, ჩივაძემ, ჰედიამ, ცაავამ, გაბელიამ, კეტაშვილმა... ისინი შეპირდნენ ფეხბურთის მოყვარულებს, რომ დაუღალავად ივარჯიშებენ და ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ ქართულ ფეხბურთს კვლავ დაუბრუნდეს შელახული სახელი და ძველი დიდება.

„მესამე ტაიმი". საჭიროა ასეთი შეხვედრები რეგულარულად იმართებოდეს, საჯაროობა ხომ დღეს პირველ ყოვლისა ჩვენს ფეხბურთს სჭირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენიშვნები საქართველოს მოცურავეთა ჩემპიონატზე

კარგად ორგანიზებული შეჯიბრება, მონაწილეებმა რეკორდებიც რომ არ დაამყარონ, სპორტული ზეიმია. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ხობში გამართულმა საქართველოს მოცურავეთა ჩემპიონატმა, რომელიც ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების პროგრამით ჩატარდა. შეჯიბრების ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანეს ხობელებმა.

დიახ, ამ ასპარეზობაზე რეკორდები არავის დაუმყარებია, მაგრამ შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში ამ სახეობის განვითარების საქმეში დადებითი ძვრები იგრძნობა. გამოჩნდნენ „პირველი მერცხლები", რომლებიც, მართალია, გაზაფხულს ვერ მოიყვანენ, მაგრამ მის მოახლოებას კი გვაგრძნობინებენ.

შეჯიბრების მონაწილეებმა, თბილისელმა ქეთინო ზინდრიშვილმა და რუსთაველმა ვიქტორია უტიცკიხმა სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულეს. ქეთინომ 400 მეტრზე თავისუფალი



ტილით ცურვაში, ვიქტორიამ — ამავე დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში.

50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყურადღება მიიქცია რუსთაველმა ომარ მოისწრაფიშვილმა.

პროგრამის დანარჩენ სახეობებში გაუთვალისწინებელი არაფერი მომხდარა. ამ სახეობებში გამარჯვებულთა დასახელება წინასწარაც შეიძლებოდა.

საქართველოს რეკორდსმენმა, ჩვენი ქვეყნისა და გდრ-ის ახალგაზრდა მოცურავეთა სამატჩო შეჯიბრების მონაწილე თბილისელმა სპორტის ოსტატმა იგორ არტიომოვმა სპორტის ხუთ სახეობაში ისე გაიმარჯვა, კონკურენცია არ უგრძვნია.

ხუთი დღის შეჯიბრების შემდეგ გუნდურ ასპარეზობაში, საქართველოს ჩემპიონატის პროგრამით, ადგილები ასე განაწილდა: თბილისი (2731 ქულა), აფხაზეთი (715), ქუთაისი (618). ამ გუნდებმა ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გამართულ შეჯიბრებაშიც ასეთი თანმიმდევრობით დაიკავეს ადგილები, ოღონდ აქ შესაბამისად 2120, 652 და 572 ქულა მოაგროვეს.

ასპარეზობას ახალი სახელები რომ არ დაუსახელებია, ეს ამ სახეობის განვითარებაში დაშვებული შეცდომებით აიხსნება. და მაინც, ჩემპიონატმა გაამართლა. ამას ხელი შეუწყო შეჯიბრების დღეებში ხობში გამართულმა რესპუბლიკურმა სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომელიც ცურვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების მუშაობის საკითხს მიეძღვნა. კონფერენციის მუშაობაში ჩვენი ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები მონაწილეობდნენ, მათ შორის ისეთი აღიარებული სპეციალისტები, როგორებიც არიან საკავშირო სპორტსახკომის მწვრთნელები ცურვაში ვილი ტოლსტიკოვი, ვიტალი მედიანიკოვი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ექსრეკორდსმენი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი სერგეი ფესენკო და სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი იური პეტრენკო.

ჩემპიონატის მონაწილეებისთვის სასარგებლო და საინტერესო იყო შეხვედრა ფესენკოსთან. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა მათ მრავალ კითხვაზე გასცა პასუხი.

**ვალერი ხაი,**
**საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი ცურვაში.**







ლისის ტბის მიდამოებში ჩატარდა ნორჩ გემთმოდელისტთა 22-ე რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელშიც 10 გუნდის 56 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

მოდელების ცალკეული კლასების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. გოგიავა, ტ. სებუა (ორივე წულუკიძე), რ. ფომენკო (ბათუმი), ლ. მამაცაშვილი (რუსთავი), ზ. წიწუაშვილი, ს. ასატუროვი (ორივე თბილისის პიონერთა სასახლე), დ. არუთინოვი (თბილისი).

გუნდურ პირველობაში უძლიერესი იყო რუსთავის გუნდი — 1188 ქულა, მეორე ადგილზე არიან თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის აღსაზრდელები (1004,9), მესამე ადგილი წილად ხვდათ წულუკიძელ მოდელისტებს (804,6).

ს. ვართანესოვის ფოტოები.

## მოკლედ

### წალენჯიხა

რაიონში ბოლო დროს ბევრი რამ კეთდება სპორტული ბაზების მოსაწყობად და შეჯიბრებათა გასამართავად. პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში, მაიაკოვსკის ქუჩაზე მოეწყო მარტივი ტიპის სპორტული კომპლექსები, მთავარ სტადიონზე შენდება საცურაო აუზი.

ენგურჰესის მშენებლობის სპორტკლუბ „ენგურის" ხელმძღვანელობამ გამართა თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჰიდროსპეცმშენისა და კაშხალმშენის გუნდები. გაიმარჯვეს კაშხალმშენებლებმა.

დიდი ინტერესი გამოიწვია დათო და ვახტანგ კვარაცხელიების ხსოვნისადმი მიძღვნილმა საფეხბურთო შეჯიბრებამ ნორჩთა შორის. წარმატება წილად ხვდათ სოფ. ნანჯარუს საშუალო სკოლის წარმომადგენლებს.

**ოლეგ ხალია.**

### ლანჩხუთი

უკვე მეორე წელია საინტერესოდ ტარდება საბავშვო ბაღების პირველობა მინიფეხბურთში. წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო რაიონის 12-მა საბავშვო ბაღის გუნდმა.

პირველი ადგილისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ შუხუთისა და ლესის ნორჩები. გაიმარჯვეს შუხუთელმა ბავშვებმა. საპრიზო ადგილზე გავიდნენ ეწერელები.

**ვ. ცინცაძე,**
**ლანჩხუთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.**

# კრივი

**ზანა** ვინმეს აეჭვებს, რომ ყველაზე კარგ პროპაგანდას ამა თუ იმ სახეობას სპორტსმენის მაღალი მიღწევები უწევს? ამიტომაც ნურავის გაუკვირდება, თუ სულ მალე ჩვენი ტირები სროლის შესწავლა-დაუფლების ყველა მსურველს ვერ დაიტევენ. დიახ, ნინო სალუქვაძის ამ დღეების ტრიუმფულ წარმატებას შეიძლება ნამდვილი ბუმი მოჰყვეს და ახლა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, არსებული მატერიალური ბაზა რამდენად დააკმაყოფილებს მსროლელის სახელზე მეოცნებე გოგო-ბიჭებს.

საკავშირო და მსოფლიო სარბიელზე თანამემამულეთა გამარჯვებას მოზარდებს შორის სხვა დროსაც გამოუწვევია დიდი დაინტერესება, მაგრამ მოუმზადებელ დარბაზს, უგულისყურო მწვრთნელს, ყაილგასულ აღჭურვილობას ცუდი სამსახური გაუწევია ნორჩებისათვის და ისინიც მალე განთესილან სპორტიდან.

ალბათ, იგივე ბედი ეწეოდა ჩვენს მოზარდთა კრივს, რომელიც დღეს რესპუბლიკაში აღმავლობის გზას ადგას, რომ დავით კვაჭაძეს ნამდვილი აღმზრდელის და პროფესიონალის ალღო არ გამოეჩინა. ყველას კარგად გვახსოვს ჩვენს კრივში გამეფებული მწვრთნელთა სრული ინერტულობა. მართალია, თავის დროზე ამ სახეობაში მდიდარი ტრადიციები გვქონდა, რასაც არაერთი სახელოვანი გამარჯვება მოუტანია რესპუბლიკის სპორტისათვის, მაგრამ ორმოცდაათიანი, სამოციანი და სამოცდაათიანი წლები გამორჩეული და თავმოსაწონი არაფრით ყოფილა. მხოლოდ დავით კვაჭაძის წარმატებებმა საკავშირო და ევროპულ რინგზე გამოაცოცხლა ჩვენში სპორტის ეს ვაჟკაცური სახეობა. დავითმა აღმზრდელობითი მუშაობა თავის მშობლიურ კლუბში — „ბურევესტნიკში" დაიწყო. იქ გახსნა კრივის სპეციალიზებული დარბაზი, რომელსაც ახლა ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სკოლა ჰქვია. ამ სკოლას საამაყო ბევრი აქვს — მისი აღზრდილები და აღსაზრდელები წარმატებით გამოდიან საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე, სკოლამ ფილიალები გახსნა ქუთაისში, სოხუმში, ტყიბულში, თერჯოლაში, სადაც სხვადასხვა ასაკის 450 მოზარდი მეცადინეობს. იქ ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან გამოცდილი აღმზრდელები, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ვ. ბურჯანაძე, გ. ჩუხიანიძე (ქუთაისი), თ. ქართველიშვილი, გ. შახსუვარიანი, ს. წინამძღვრიშვილი, ნ. ქიქავა და სხვები.

მაგრამ დავით კვაჭაძე ამით არ დაკმაყოფილებულა. მისი უშუალო თაოსნობით დიღომში გაიხსნა განათლების სამინისტროს ბავშვთა



და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტული სკოლა, რომელსაც ასევე მთელს რესპუბლიკაში აქვს ფილიალები. ნაყოფიერად მუშაობენ სკოლის მწვრთნელები გურჯაანში, მესტიაში, საჩხერეში, სიღნაღში, თეთრ წყაროში, ფოთში, რუსთავში. სამინისტროს სისტემის სპორტსკოლის მოკრივეებს კონკურენციას უწევს „შრომითი რეზერვების" სკოლა, სადაც ნორჩ მოკრივეთა მზადებას სათავეში უდგას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ხაჩატუროვი. ამ სკოლებმა უკვე მოგვცეს მაღალი კლასის სპორტსმენები, რომლებმაც საერთაშორისო სარბიელზეც ისახელეს თავი. მათ შორის არიან: ნიკა სეთური, ჯამბულ ყუფარაძე, დავით შერვაშიძე, გოჩა სამხარაძე, ძმები კაზანჯიანები, ხვიჩა ხდრიანი, სპარტაკ ასანიძე...

ახლა რესპუბლიკის ჭაბუკ მოკრივეებს სერიოზული გამოცდა ელით. ივლისის ბოლოს ისინი ქუთაისში სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველ საკავშირო თამაშებში ჩაებმებიან. ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობისათვის მზადება შარშან დაიწყო. გორში გამართული რესპუბლიკური პირველობის შედეგების მიხედვით შეიქმნა სპორტსმენთა ბირთვი, რომელსაც საკავშირო თამაშებში მოუხდება გამოსვლა. ამ 45-კაციან ჯგუფში შევიდნენ პირველი, მეორე და მესამე ნომერი სპორტსმენები. მათი მზადება საკავშირო შეჯიბრებისათვის წულუკიძის რაიონის დაბა გორდში 18-დღიანი შეკრებით დაიწყო.

— მზადების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 25 თებერვლიდან 1 მარტამდე ქუთაისში ჩატარებული წლევანდელი რესპუბლიკური პირველობა. ამ შეჯიბრებამ გუნდის შემადგენლობაში გარკვეული კორექტივები შეიტანა, — თქვა ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორმა რევაზ მეგრელიშვილმა. — ამ გუნდით გავემგზავრეთ მოსკოვში „სიჭაბუკის" ტრადიციულ ტურნირზე. სარბიელზე ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოსწავლე-მოკრივეები გამოდიოდნენ. ამდენად, თავიდანვე ვიცოდით, რომ საქმე გვექნებოდა მომავალ მეტოქეებთან — სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველი საკავშირო თამაშების მონაწილეებთან და შეჯიბრებას დაზვერვის ხასიათიც ჰქონდა. უნდა ითქვას, რომ საქართველოს მოკრივეებს თავი არ შეურცხვენიათ მოსკოვის რინგზე. მათ ბრწყინვალედ ჩაატარეს ორთაბრძოლები და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს, ხუთმა კი გამარჯვებულის სახელიც დაისაკუთრა.

გუნდის ამავე შემადგენლობამ თავისი ძალა გამოსცადა რესპუბლიკის მეორე ახალგაზრდულ თამაშებსა და ამ „შრომითი რეზერვების" საკავშირო ასპარეზობაში. ამ უკანასკნელ შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა. ამას მოჰყვა ოცდღიანი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება ტყიბულსა და სოხუმში. ამ დღეებში ქუთაისში გავემგზავრებით და მოკლევადიანი შეკრების შემდეგ, რაც აკლიმატი-



ზაციას ისახავს მიზნად, იქვე ჩავებმებით სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველ საკავშირო თამაშებში.

— რა მიზანს ისახავს გუნდი? — რაც შეიძლება მაღალ დონეზე წარვმართოთ შეხვედრები და მაღალი ადგილებიც მოვიპოვოთ გუნდურ და პირად შეჯიბრებებში. ჩვენ ეს შეგვიძლია. ნაკრების თითოეული წევრი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება მომავალ შეხვედრებს. იმედია, რინგზეც თავდაუზოგავად იბრძოლებენ. ის, რომ სადღეისოდ საქართველოს მოსწავლე-მოკრივეებს რაიმე არსებითი პრობლემა არა აქვთ გადასაჭრელი, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, სპორტსახკომისა და თბილისის განათლების სამმართველოს დიდი დახმარების შედეგია. არც ერთი საკითხი, მზადების ხელშემშლელი არც ერთი მიზეზი მათ უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ და დროულად იღებდნენ ქმედით ზომებს, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

როგორც ითქვა, ჯერჯერობით კმაყოფილი ვართ გუნდის მომზადებით, რომელსაც ხელმძღვანელობენ უფროსი მწვრთნელი დავით შიუკაშვილი, გუნდის უფროსი ალბერტ ელისონიანი, მწვრთნელები თეიმურაზ ლორთქიფანიძე (ჭიათურა), როლანდ კვაჭაძე, ვალერი ბორტნიკოვი (თბილისი), ტარიელ ჯერულაშვილი, ცეზარ გულუა (ფოთი), გიორგი კუხიანიძე (ქუთაისი) და თეიმურაზ სამუშია (სოხუმი). ნაკრების იმ თხუთმეტ წევრსაც, შეჯიბრებაში რომ გამოვლენ, მათი შეხედულებით დავადგენთ.

ისე ნურავინ გაგვიგებს, თითქოს ჩვენს მოზარდთა კრივში სადღეისოდ მოსაგვარებელი არაფერი იყოს. არა, მას სატკივარიც ბევრი აქვს.

თუ შორს გავიხედავთ, საჭიროა, რომ რესპუბლიკის რაიონებში „გაბნეულ" ნიჭიერ და საიმედო ახალგაზრდობას თავი მოვუყაროთ თბილისის სპორტული პროფილის ინტერნატში, სადაც კრივის სპეციალური სექცია გაიხსნება. იქ მოზარდ სპორტსმენებს დაოსტატების საშუალება ექნებათ, ისევე როგორც, ვთქვათ, მოჭიდავეებს, მძლეოსნებს, ფეხბურთელებსა და სხვა სახეობების წარმომადგენლებს.

გადასაჭრელია ერთი პრობლემა: თბილისის განათლების სამმართველოს კრივის სპეციალიზებული დარბაზის მშენებლობა. ადგილი უკვე გამოყოფილია დიღომში... დროა მოსწავლე-მოკრივეებს ჰქონდეთ თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი საწვრთნელი ბაზა, თავისი საშხაპით, საექიმო კაბინეტით, სარეაბილიტაციო ცენტრით, კვების ბლოკით და სასტუმროთი.

ვფიქრობ, ამ საკითხის მოგვარება ბევრად გააუმჯობესებს წვრთნის პირობებს და შედეგიც არ დააყოვნებს — ჩვენს ტყავის ხელთათმანის ახალგაზრდა ოსტატებს ხდრიანს, კაზანჯიანს, ყუფარაძეს, სეთურს, ასანიძესა და სხვებს ღირსეული ცვლა ეყოლებათ.

**უჩანგ ჟიჟინაძე.**